ბრძოლის 90 წუთი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 17 მაისი.

“შახტიორი”: კოსტიკოვი, მოტინი, კრივენკო, მოროზოვი, ალპატოვი, დუმანსკი, ბობოშკო, ფედოსოვი, პონომარენკო, სოკოლოვი, საპრონოვი.

“დინამო”: პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ხასაია, იამანიძე, ზაზროევი, კალოევი, მესხი.

მსაჯი: გ. ეპიხინი (მოსკოვის ოლქი).

1–15 წუთი

თამაში იწყება ნელ ტემპში. გუნდები ეძებენ მოწინააღმდეგის სუსტ ადგილებს. სტალინოელები გრძელი გადაცემებით ცდილობენ გაშალონ თბილისელთა დაცვა და ფლანგებიდან გავიდნენ კართან. მასპინძლები პირიქით, მოკლე გადაცემებით, მჭიდრო რიგებით თამაშობენ. თითო სახიფათო გარღვევას ასრულებენ მარცხენა გარემარბები მესხი და საპრონოვი, მაგრამ პირველ შემთხვევაში ბურთი იკარგება, მეორეში – მას იღებს პირაევი. მალე ზაზროევი მშვიდად გადის მარცხნიდან, განზრახ ოდნავ აყოვნებს გადაცემას. “შახტიორის” დაცვა და მეკარეც სწრაფად გადადიან მისკენ. თბილისელი ზუსტად აწოდებს მარჯვნივ და ხასაია დაუყოვნებლივ აგზავნის ბურთს ბადეში – 1:0.

დინამოელები აწოდებენ ორ კუთხურ საჯარიმოს – ჯერ მარჯვნიდან, მერე მარცხნიდან. შემდეგ ერთხანს ბრძოლა გადმოდის მინდვრის შუა ნაწილში.

15–30 წუთი

შესანიშნავად თამაშობს “დინამოს” ნახევარდაცვა. კოტრიკაძესა და ღოღობერიძეს მტკიცედ უპყრიათ ხელთ მოედნის ცენტრი. აქტიურად მუშაობენ ვრცელ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით გამოირჩევა ღოღობერიძე, რომელიც თამამად გადის თავდამსხმელთა პოზიციაში, მონაწილეობს შეტევაში და დაცვაშიც ასწრებს დაბრუნებას.

რამდენიმე კომბინაციას არაზუსტად ამთავრებენ “დინამოს” თავდამსხმელები. პასიურობენ კალოევი, ზაზროევი, იშვიათად აწოდებენ ბურთებს მესხსა და იამანიძეს, ინიციატივა გადადის “შახტიორის” მხარეს. ზედიზედ მეტად სახიფათოდ გადიან ბობოშკო, საპრონოვი, სოკოლოვი, მათ ხშირად ერთვის დუმანსკიც. თბილისელთა დაცვა დიდი დატვირთვით მუშაობს, რამდენიმე ძნელ ბურთს იღებს პირაევი, მათ შორის ერთს ელოშვილისაგან.

30–45 წუთი

სტუმრები სულ უფრო და უფრო აძლიერებენ შეტევას. კარგად დაწყებული თამაში დინამოელებს აერიათ, აღარ ჩანს მთლიანობა, საერთო გეგმა, თავდამსხმელები სისტემატურად კარგავენ ბურთებს.

“შახტიორი” ჩქარობს რეალიზაცია უყოს თავის უპირატესობას. საპრონოვი კარიდან ერთი მეტრის მანძილზე ღებულობს ბობოშკოს გადაცემას, მაგრამ თავით დარტყმული ბურთი ძელს ხვდება. მაღლა ურტყამენ ფედოსოვი, პონომარენკო, თბილისელები თანდათან აწესრიგებენ ურთიერთმოქმედებას დაცვაში და თამაში ცენტრისაკენ გადადის.

60–75 წუთი

ტემპმა იმატა. თბილისელთა თავდამსხმელები გაიშალნენ მინდვრის მთელ სიგანეზე. კვლავ ძლიერად თამაშობენ ღოღობერიძე და კოტრიკაძე, თამაშში ჩაება მესხი, უფრო აქტიურად თამაშობენ კალოევი და ზაზროევი, როგორც ყოველთვის, დაუღალავად უტევს ხასაია. სტუმრები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაიბრუნონ ინიციატივა, მაგრამ ხელმეორე გარდატეხის შეტანა თამაშში მათთვის ძნელია, თუმცა პირაევი უსაქმოდ არაა, მას რამდენიმე ძნელი ბურთის აღება უხდება როგორც საჯარიმო მოედანზე, ისე კარშიც. მძიმე სამუშაოს ასრულებს აგრეთვე მისი სტალინოელი კოლეგა კოსტიკოვი.

75–90 წუთი.

უპირატესობას ინარჩუნებენ თბილისელები. ერთ–ერთი შეტევისას მესხი ტანის ცრუ მოძრაობით ატყუებს მოტინსა და ალპატოვს, გადის წინ და სწრაფად აწოდებს ზაზროევს. ეს უკანასკნელი შეუჩერებლივ ურტყამს კარში. კოსტიკოვის ნახტომი წამით იგვიანებს და “შახტიორი” მეორედ იწყებს თამაშს ცენტრიდან – 2:0.

თამაშის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილია, ამიტომ დინამოელები უკვე დარწმუნებულად, თამამად თამაშობენ, აღარ იგრძნობა დაჭიმულობა და დაძაბულობა. მაგრამ სწორ გადაწყვეტილებას იღებენ "შახტიორის" ფეხბურთელებიც – ისინი უკანასკნელ შეტევაზე გადადიან და გონგის წინ პირაევი ალპატოვის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმულ უძლიერეს ბურთს იღებს.

ანგარიშით 2:0 იმარჯვებს "დინამო".

თბილისის დუბლიორებმა ამ დღეს განიცადეს მეოთხე დამარცხება – 3:5. ისინი უსისტემოდ, ყოველგვარი მონდომებისა და ინიციატივის გარეშე თამაშობდნენ. არავითარი დატვირთვა არ მიუღიათ თამაშში გუნდის კაპიტანს კურტანიძეს, ქვლივიძეს, ურთქმელიძეს, დავარაშვილს, მეკარე კოტრიკაძის როლი გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ მის კარში გატანილი ბურთები გულგრილად გამოჰქონდა ბადიდან. ახალგაზრდობისათვის ყოვლად მიუტევებელია ასეთი უინიციატივო და უყურადღებო თამაში.

რ. ქორიძე.
"ლელო", 20 მაისი, 1956 წ.